ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2022 წლის 1 ივნისის სხდომის

ოქმი N9

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 9

ქ. ხონი 1 ივნისი, **2022** წელი
12:00 საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: ვალერი ბახტაძე.
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გელა ჩოგოვაძე.
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: კობა კუბლაშვილი.
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: არჩილ საღარაძე.
საკრებულოს წევრები:

გურამ ბახტაძე	მაკა ტაბიძე
ზურაბ მიქაძე	ელისო ლიპარტელიანი
ზაზა ვაშაკიძე	ლია ღაჭავა
დემურ სულაბერიძე	შორენა კაკაბაძე
ზაზა რუხაძე	ვახტანგ ვაჭარაძე
კახა ფირცხალავა	მაია სულაბერიძე
ამირან კაშია	ვალერი ყურაშვილი
ნინო კუხალაშვილი	ბესარიონ ჭელიძე
ია სულუხია	ლევან ჯიმშელეიშვილი
ბაჩანა ბასილაია	ზვიად ჩიმაკაძე

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

- ლადო ჯურხაძე ხონის მუნიციპალიტეტის მერი.
- გერასიმე მჟავანაძე მერის პირველი მოადგილე.
- ამირან კინწურაშვილი ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი.
- კორნელი უგრეხელიძე სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის ხელმძღვანელი.

დღის წესრიგი:

1. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ევროპული საქართველო“- ს ახალი შემადგენლობის დამტკიცების ცნობად მიღების შესახებ.
   მომხსენებელი: ზურაბ მიქაძე.
2. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრეუქტურის საკითხთა კომისიის შექმნის ცნობად მიღების შესახებ.
   მომხსენებელი: ზურაბ მიქაძე.

3. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის შექმნის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: ზურაბ მიქაძე.

4. ხონის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის 2021 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის ა ნ გ ა რ ი შ ი.

მომხსენებელი: კორნელი უგრეხელიძე.

5. ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის 2021 წლის გაწეული მუშაობის შესახებ ა ნ გ ა რ ი შ ი.

მომხსენებელი: ამირან კინწურაშვილი.

6. ხონის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ა ნ გ ა რ ი შ ი.

მომხსენებელი: ლადო ჯურხაძე.

1. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ევროპული საქართველო"- ს ახალი შემადგენლობის დამტკიცების ცნობად მიღების შესახებ. საკრებულოს წევრებს გააცნო ზურიკო მიქაძემ საკრებულოს საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ. საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წარმოდგენილ საკითხი:

მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული

2. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრეუქტურის საკითხთა კომისიის შექმნის ცნობად მიღების შესახებ. საკრებულოს წევრებს გააცნო ზურიკო მიქაძემ საკრებულოს საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ. საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წარმოდგენილ საკითხი:

მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული

3. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის შექმნის ცნობად მიღების შესახებ. საკრებულოს წევრებს გააცნო ზურიკო მიქაძემ საკრებულოს საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ. საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წარმოდგენილ საკითხი:

მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული

4. ხონის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის 2021 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის ა ნ გ ა რ ი შ ი. საკითხი საკრებულოს წევრებს გააცნო კორნელი უგრეხელიძემ სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის ხელმძღვანელმა. საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წარმოდგენილ საკითხი:

მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული

5. ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის 2021 წლის გაწეული მუშაობის შესახებ ა ნ გ ა რ ი შ ი. საკითხი საკრებულოს წევრებს გააცნო ამირან კინწურაშვილმა ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა. საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წარმოდგენილ საკითხი:

მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული

6. ხონის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ა ნ გ ა რ ი შ ი. საკითხი საკრებულოს წევრებს გააცნო ლადო ჯურხაძემ ხონის მუნიციპალიტეტის მერმა.

დეპუტატმა ლია ღაჭავამ დასვა შეკითხვა: პლასტმასის ნარჩენების მიმოფანტვის გამო ქალაქში არსებული მდგომარეობის თაობაზე და უახლოეს პერიოდში რა იგეგმება აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად?

ხონის მუნიციპალიტეტის მერმა ლადო ჯურხაძემ აღნიშნა, რომ არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით კომუნიკაცია ჰქონდათ ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რის შედეგად მოხდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პლასტმასის ნარჩენების შესაგროვებლად ურნების განთავსება, ასევე იგივე ორგანიზაციის მიერ დაახლოებით ერთ თვეში დამონტაჟდება პლასტმასის ნარჩენების დაწნეხვისთვის საჭირო დანადგარი, რომელიც არსებულ ვითარებას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

დეპუტატმა ბესარიონ ჭელიძემ გამოთქვა მოსაზრება, ისე როგორც ევროპულ ქვეყნებში, იქნებ მოძიებულიყო ინვესტორი რომელიც თავად მოსახლეობას დააინტერესებდა და ხელს შეუწყობდა აღნიშნულ პრობლემას უფრო სწრაფად მოგვარებას.

ხონის მუნიციპალიტეტის მერმა ლადო ჯურხაძემ აღნიშნა, რომ დაწყებულია მუშაობა ამ კუთხითაც, მაგრამ ვიდრე ინვესტორი გამოჩნდება ისინი დათანხმდნენ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ზემოთ აღნიშნულ წინადადებას.

დეპუტატმა ბესარიონ ჭელიძემ დასვა შეკითხვა დიდღვაბუნის პროექტთან დაკავშირებით, რას მოიცავს იგი?

ხონის მუნიციპალიტეტის მერმა ლადო ჯურხაძემ აღნიშნა, რომ დიდღვაბუნას ტბას აქვს დიდი პოტენციალი რითაც დაინტერესებულია ინვესტორი და ჰოლანდიური ინვესტიციით უახლოეს პერიოდში დაიწყება მეთევზეობის მრეწველობის განვითარება. შეიქმნება ამიერკავკასიაში პირველი ლიფსიტების პათოლოგიების მაღალტექნოლოგიური კვლების ლაბორატორია.

დეპუტატი მაია სულაბერიძე დაინტერესდა, პროექტის განხორციელების შემთხვევაში რა სარგებელი შეიძლება ჰქონდეს მუნიციპალიტეტს?

ხონის მუნიციპალიტეტის მერმა ლადო ჯურხაძემ აღნიშნა, რომ პროექტი მიმდინარეობს კომპლექსურად: პირველი სამი წელი დაეთმობა სამრეწველო პოტენციალის შექმნას, ხოლო მომდევნო სამი წელი კი ტურისტული კუთხით განვითარებას.

დეპუტატმა ბესარიონ ჭელიძემ დასვა შეკითხვა, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სამშენებლო ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით, სად შეიძლება მოხდეს მისი გატანა დაბინავება?

ხონის მუნიციპალიტეტის მერმა ლადო ჯურხაძემ აღნიშნა, რომ ტერიტორიის ოფიციალურად გამოყოფისთვის საჭიროა გარკვეული სტანდარტების დაკმაყოფილება და ამდენად ჯერ ვერ ხერხდება სწრაფად საკითხის გადაჭრა. აქვე დასძინა, რომ პრობლემა მეტად მნიშვნელოვანია და აუცილებელ მოგვარებას საჭიროებს.

დეპუტატმა ბაჩანა ბასილაიამ მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს გაწეული ნაყოფიერ მუშაობისთვის, კერძოდ გამოყო საერთაშორის და ადგილობრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა, ინვესტორების მოზიდვა, ცენტრალურ ხელისუფლებასთან სწორი კომუნიკაცია, მოგვარდა ვებ-გვერდის, ცხელი ხაზის პრობლემა და მუნიციპალიტეტი გადავიდა ელექტრონულ მომსახურებაზე, მაგრამ აქვე აღნიშნა იმ პრობლემური საკითხების შესახებ როგორიცაა: ქალაქის ტურისტული პოტენციალის წამოწევა, იქნებ მოხერხდეს სახლ-მუზეუმებისა და ისტორიული ძეგლების დატანა რუქაზე ელექტრონულად, რომ მეტად დაინტერესდეს ტურისტი. გერბის, დროშის ინიციალების განმარტება და შესაბამისი ინფორმაციის განთავსება. ასევე იგი შეეხო შაქრიანი დიაბეტით და ეპილეფსიით დაავადებულ ბავშვთა დაფინანსების საკითხს 35 დაფინანსდა მაგრამ დარჩა რამდენიმე ბავშვი სხვადასხვა დაავადებით რომლებსაც არ აქვთ დახმარება, იქნებ მოხდეს ახალი პაკეტის შემუშავება და მათი დაკმაყოფილება. მან ასევე გაამახვილა ყურადღება ქალაქის ტერიტორიაზე მოსიარულე ცხოველებზე რომლებიც ბევრ ზიანს აყენებენ სხვადასხვა სკვერებს, მისი აზრით აუცილებელია საკრებულომ მიიღოს გადაწყვეტილება რომ მოხდეს კონკრეტული მეპატრონეების დაჯარიმება.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვალერი ბახტაძემ დასვა შეკითხვა ზაფხულში სასმელი წყლის უწყვეტ მომარაგებასთან დაკავშირებით.

ხონის მუნიციპალიტეტის მერმა ლადო ჯურხაძემ აღნიშნა რომ საკითხის მოგვარებისთვის მნიშვნელოვანი სამუშაო იქნა გაწეული და შემუშავდა პროექტი, რომლის ღირებულებაც 600 ათასი ლარია. პროექტი ითვალისწინებს არსებული სასმელი წყლის სათავე ნაგებობის განახლებას და დამატებით მოეწყობა წყლის შემკრები გალერეა. სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყება გათვალისწინებული მიმდინარე წლის ივლისიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წარმოდგენილ საკითხი:

მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებულ იქნა 7 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე: ვალერი ბახტაძე

სხდომის მდივანი: მაია ბობოხიძე